პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი, № 102 (12016) | პარასკევი, 5 მაისი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

5 მაისი გეჭდვითი სიტყვის დღეა



ვ. ი. ლენინი ესაუბრება მუშა-კორესპონდენტებს გაზეთ „პრავდის“ რედაქციაში.
ნახატი რსფს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ბ. კასილიევისა.

ჩვენი პრესა

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ხალხებმა, მთელი მსოფლიოს მშრომელებმა უდიდესი ზეიმით აღნიშნეს პირველი მაისი — გაზაფხულის მშვენიერი დღესასწაული, ყველა ქვეყნის მშრომელთა სოლიდარობის, ძმობისა და მეგობრობის დღე.

საპირველმაისო ზეიმის სიხარულსა და ცხოველ შთაბეჭდილებებს აორკეცებს და ამდიდრებს მნიშვნელოვანი თარიღი — საბჭოთა პრესის დღე, რომელსაც დღეს აღნიშნავს საბჭოთა ხალხი.

თითქმის ნახევარ საუკუნის წინათ — 1912 წლის 5 მაისს პეტერბურგის მუშების ინიციატივით გამოვიდა „პრავდის“ — მახსობრივი პროლეტარული გაზეთის პირველი ნომერი. ვ. ი. ლენინმა „პრავდას“ უწოდა იმ გაზაფხულის მერცხალი, როცა მთელი რუსეთი დაიფარება თავისუფალი მუშათა პრესის ქსელით.

კაცობრიობის გაზაფხულის ეს დღე დადგა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. კომუნისტურმა პარტიამ შექმნა ნამდვილად სახალხო პრესა — საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნისათვის ბრძოლის ბასრი იარაღი.

ჩვენმა პრესამ გაიარა დიდი და სახელოვანი გზა პირველი იატაკქვეშეთის ფურცლებიდან მრავალმილიონიანი ტირაჟის მქონე საბჭოთა გაზეთებამდე და ულრანალებამდე.

საბჭოთა პრესის ისტორიაში ოქროს ფურცლებად შედის ამიერკავკასიის, კერძოდ საქართველოს ბოლშევიკური პრესის ბრძოლა ცარიზმის დასამხობად, კაპიტალიზმის ბორკილების დასამსხვრევად მშრომელთა დარაზმვისათვის. ბოლშევიკურმა პრესამ უდიდესი როლი შეასრულა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების, უდიდესი სოციალური და კულტურული გარდაქმნების, ჩვენი რესპუბლიკის სოციალისტური ზრდისა და აყვავების საქმეში. ეს განსაკუთრებით სასიხარულოა აღინიშნოს ახლა, როცა ქართველი ხალხი, საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად, ამ დღეებში უდიდეს ზეიმით იდღესასწაულებს საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავს.

ახლა, როცა ჩვენი ეროვნულ დღესასწაულამდე რამდენიმე დღე დარჩა, საქართველოს მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ჩვენი შესანიშნავი ინტელიგენცია, თვითეული მშრომელი თვალს ავლებს განვლილ გზას, აჯამებს შრომის შედეგებს, თუ რა წარმატებით, რა საჩუქრებით ხვდება დიად ზეიმს. ამ წარმატებებში უდიდესი წვლილი მიუძღვის ჩვენს პრესას — ჩვენს გაზეთებსა და ულრანალებს, ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებს. ჩვენი რესპუბლიკის პრესის ზრდაზე, ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის ქსელის უმაგალითო გაფართოებაზე მეტყველებენ ფაქტები: 1920 წელს მენშევიკურ საქართველოში გამოდიოდა მხოლოდ რამდენიმე გაზეთი. ამუამად საქართველოში გამოდის 145 გაზეთი და ულრანალი 1 მილიონ ეგზემპლარზე მეტი საერთო ტირაჟით.

ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ძალა უდიდესია. პრესა ჩვენს ქვეყანაში ხალხის სულიერი ცხოვრების განუყრელი ნაწილია. მას მშრომელთა გულწრფელი სიყვარული მოუპოვა მაღალმა მარქსისტულ-ლენინურმა, იდეურობამ, პარტიულმა პრინციპულობამ, სიმართლემ, მებრძოლმა რევოლუციურმა სულისკვეთებამ. ჩვენი პრესისათვის მთავარი დღეზია ბრძოლა ხალხის ინტერესებისათვის. ცხოვრებასთან სიახლოვე, მასებთან მტკიცე კავშირი ჩვენი გაზეთების ურყევი ტრადიციაა. პრესა სწრაფად ავრცელებს ყოველ ძვირფას თაოსნობას, მას მუდამ შეაქვს თავისი ღირსეული წვლილი პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

კომუნისტური პარტია, თვით ცხოვრება აირაღებენ ჩვენს პრესას, ყველა მის მუშაკს იმ ახალი ამოცანების ნათელი გაგებით, რომლებიც საბჭოთა ხალხმა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში უნდა გადაჭრას. თანამედროვე პირობებში, როცა სულ უფრო ფართოდ ჩაღდება საყოველთაო-სახალხო შეჯიბრება საწარმოებში და საკოლმეურნეო მინდვრებზე, ჩვენი შემოქმედებითი ცხოვრების ყველა დარგში პარტიის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის, კიდევ უფრო იზრდება გაზეთების მაორგანიზებელი როლი.

ჩვენი პრესა მოწოდებულია აჩვენოს საბჭოთა ადამიანი მრავალმხრივ, ღრმად და შთამბეჭდავად. სწორი არ არის, როცა ბევრ საგაზეთო მასალაში ჩვენი დროის გმირები, შვიდწლედის მოწინავე ადამიანები, ჩვენი წინსვლის მანათობელი შუქურები ასახული არიან ცალმხრივად, სქემატურად, უფერულად. გაზეთი უნდა წერდეს ადამიანის მორალურ სახეზე, კეთილშობილებასა და ჰუმანიზმზე, ამხანაგობის, მეგობრობის მაღალ გრძნობაზე, მოქალაქეობრივ ღირსებაზე. გაზეთი ყოველთვის და პრინციპულად უნდა იდგეს ადამიანის ინტერესების დაცვის სადარაჯოზე. შეურიგებლობა ჩვენი ცხოვრების ნაკლოვანი მხარეებისადმი, შეუპოვარი ბრძოლა ამ ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად, ყოველივე დრომოჭმულისა და დახავსებულის გამომზეურება ჩვენს პრესას უდიდეს ცხოველმყოფელობასა და ძალას ანიჭებს.

„...თქვენ, ჟურნალისტები, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — ხართ ჩვენი პარტიის არა მარტო ერთგული თანაშეგზეები, არამედ პირდაპირ ხელქვეითნი — აქტიური მებრძოლნი მისი დიადი საქმისათვის. რაღომ ხელქვეითნი? იმიტომ, რომ თქვენ მართლაც განუყრელად ხართ პარტიასთან. როგორც კი დაგვჭირდება რაიმე გადაწყვეტილების განმარტება და განხორციელება, თქვენ მოგვმართავთ, და თქვენ, როგორც ყველაზე საიმედო ალმაძრავი ღვედი, აიღებთ პარტიის გადაწყვეტილებას და შეგაქვთ იგი ჩვენი ხალხის შუაგულში“. ასეთი მაღალი შეფასება ჩვენს პრესას, საბჭოთა ჟურნალისტებს, მათ შორის საქართველოს პრესის მუშაკებს ყოველთვის შთაგონებს დაუღალავ შემოქმედებითს შრომას ჩვენი ხალხის, ჩვენი სოციალისტური საზოგადოების საკეთილდღეოდ, ჩვენი ცხოვრების ასაყვავებლად.

საქართველოს პრესის მუშაკებო, ჟურნალისტებო, ვამრავლოთ სახელოვანი საბჭოთა პრესის, ქართული პრესის მდიდარი ტრადიციები, ვამრავლოთ მიღწევები, რასაც ჩვენ სიხარულისა და კანონიერი სიამაყის გრძნობით ვუპატაკებთ ჩვენს ხალხს, ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას ქართველი ხალხის ეროვნული ზეიმის, საქართველოს კომპარტიის 40 წლისთავის მოახლოების დღეებში; მთელი ძალღონე მოვახმაროთ კომუნიზმისათვის ბრძოლის დიად საქმეს!

სამეცნიერო სესია

გუშინ თბილისში გაიმართა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ფილიალების გაერთიანებული საძეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავს.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **გ. ჯიბლაძემ.**

მოხსენება „საქართველოს კომუნისტური პარტიის 40 წელი“ გააკეთა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორმა **ვ. მერკვილაძემ.** მოხსენება „ბოლშევიკები — ამიერკავკასიის მშრომელთა ბრძოლის ორგანიზატორები საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის“ გააკეთა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის აზერბაიჯანის ფილიალის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა **ა. სულთანოვამ.** სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის სომხეთის ფილიალის დირექტორის მოადგილემ **გ. ვალოიანმა** მოხსენება წაიკითხა ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციის ისტორიის ბურჟუაზიული ფალსიფიკაციის შესახებ.

საბჭოთა პრესა ციფრებში

მოსკოვი, 4 მაისი. (საკდესი). წლიური წლობით იზრდება საბჭოთა პრესა. 1960 წელს სსრ კავშირში საბჭოთა კავშირის ხალხთა 64 ენაზე და 32 უცხო ენაზე გამოცემულ იქნა 76 ათასზე მეტი წიგნი, რომელთა ტირაჟი 1 მილიარდ 240 მილიონ 64 ათასი ცალია. წიგნების რაოდენობის მხრივ ეს ათი პროცენტით მეტია, ვიდრე გამოშვებული იყო 1959 წელს. 1960 წელს წიგნები თარგმნილ იქნა სსრ კავშირის ხალხთა 58 ენიდან და საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა 38 ენიდან.

ჩვენს ქვეყანაში მასობრივად გავრცელდა მარქსის, ენგელსის, ლენინის ნაწარმოებნი. 1960 წელს ამ გამოცემების ტირაჟი 28 პროცენტით გაიზარდა.

შარშან სსრ კავშირში გამოდიოდა 3.761 ჟურნალი და სხვა ამგვარი გამოცემა. მათი ტირაჟი წლის განმავლობაში ასევე მნიშვნელოვნად გადიდდა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში 1960 წელს ყველაზე მაღალ დონეს მიაღწია გაზეთების ერთჯერადმა ტირაჟმა, რომელმაც შეადგინა 68 მილიონ 600 ათასი ცალი. შარშან გაზეთები 66 ენაზე გამოდიოდა.

თბილისი. საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატაში საქდესის კორესპონდენტს აცნობეს:

1921 წელს საქართველოში გამოცემული იყო 159 სახელწოდების წიგნი, რომელთა საერთო ტირაჟი 417.500 ცალი იყო. შარშან კი რესპუბლიკის სხვადასხვა გამომცემლობამ გამოუშვა 2.787 სახელწოდების წიგნი 14 მილიონამდე ცალი ტირაჟით.

1960 წელს საქართველოს სს რესპუბლიკაში გამოდიოდა 126 გაზეთი, რომელთა წლიური ტირაჟი 216.156 ათასი ცალი იყო, მაშინ როცა 1921 წელს გამოდიოდა 44 გაზეთი შვიდნახევარი მილიონი ტირაჟით. ამას გარდა, შარშან რესპუბლიკაში გამოიცა 125 სახელწოდების საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მხატვრული, მეცნიერული ჟურნალი, სხვადასხვა ინსტიტუტის შრომები და სხვ. მათმა საერთო ტირაჟმა 4,5 მილიონ ცალს გადააჭარბა.

საქართველოს სს რესპუბლიკაში გაზეთები, ჟურნალები და წიგნები გამოდის ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე.

(საქდესი).

შენთვის, ჩემო სამშობლო!

ახმეტის რაიონის მშრომელებმა გასულ წელთან შედარებით თხუთმეტი დღით ადრე, 28 აპრილისათვის შეასრულეს სიმინდის თესვის გეგმა. სულ დათესილია 4.869 ჰექტარი, შარშან ამ დროისათვის კი დათესილი იყო 2.930 ჰექტარი.

საგოდახის რაიონის კოლმეურნეობებმა 28 აპრილისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სიმინდის თესვის ნაკისრი ვალდებულება. გეგმით გათვალისწინებული 3.982-ის ნაცვლად დათესილია 4006 ჰექტარი სიმინდი, კვადრატულ-ბუდობრივად — 1.520 ჰექტარის. შარშან ამავე რიცხვისათვის დათესილი იყო 581 ჰექტარი, კვადრატულ-ბუდობრივად კი 100 ჰექტარი.

გუშინ მინდვრებსა და პლანტაციებში

დმანისი სოფელ განთიადის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში **ლავრენტი დაუთაშვილმა** დღიური ნორმით გათვალისწინებული 10 ჰექტარის ნაცვლად მწკრივად დათესა 20 ჰექტარი სიმინდი. **გიორგი ბიძინაშვილმა** სოფელ ჯავახის კოლმეურნეობაში მწკრივად დათესა 20 ჰექტარი სიმინდი და დღიური დავალება ორასი პროცენტით შეასრულა. **გიორგი სიმონიანმა** დიდი დმანისის კოლმეურნეობაში მწკრივად დათესა 20 ჰექტარი სიმინდი ნაცვლად 10 ჰექტარისა.

თიანეთი სამი მაისისათვის დათესილი იყო 1.059 ჰექტარი სიმინდი. შარშან ამავე დროისათვის ეს სამუშაო დაწყებული არ იყო. სიმინდის თესვა პირველმა დაამთავრეს სოფლების თიანეთის ი. ბ. სტალინის სახელობის და სიმონიანთხევის კოლმეურნეობებმა.

ოჩამჩირე ჩაის კრეფას შეუდგნენ ბრიგადები, რომლებსაც შ. ჭოლარია, რ. შაკაია და ვ. ჯინჯოლია ხელმძღვანელობენ. მეჩაიეები **ლილი** და **თამარ ჭოლარიები, ლამარა აბუხბა, ნათელა შაკაია** და **ლეილა აბაშია** დღეში 12-20 კილოგრამ „მწვანე ოქროს“ კრეფენ.

აფხაზეთის მეჩაიეებმა მახარაძელთა მოწოდების პასუხად გადაწყვიტეს წელს სამშობლოს მისცენ 27.300 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს გეგმას 2.300 ტონით აღემატება.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავთან დაკავშირებით, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში მრავალი წლის და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდებანი:

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწისა

1. **ბერიძეს** გიორგი ივანეს-ძეს — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, სამტრესტის მთავარ მეღვინეს.
2. **მახალდიანს** ვახტანგ ვასილის-ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ტექნიკის მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარეს.
3. **მშვენიერაძეს** დომენტი მელიტონის-ძეს — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორს.
4. **როინიშვილს** ნიკოლოზ მინას-ძეს — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორს.
5. **ქუთათელაძეს** კალისტრატე სეგერიანეს-ძეს — პროფესორს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამშენ მასალათა მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორს.
6. **ცისკრელს** გიორგი დარჩოს-ძეს — პროფესორს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელს.
7. **ხვიჩიას** ალექსანდრე ტაგუს-ძეს — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორს.
8. **ხოჭოლავას** ივანე ანდრიას-ძეს — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს.
9. **ხუბერიანს** კონსტანტინე მიხეილის-ძეს — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ნაგებობის თეორიის სექტორის ხელმძღვანელს.

საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწისა

1. **აზატიანს** ჰაიკ ნაღაპეტის-ძეს — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორს.
2. **ასათიანს** ანთეოზ ერასტის-ძეს — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.
3. **არშბას** სოკრატ იაკობის-ძეს — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს.
4. **ბაკურაძეს** ალექსანდრე ნიკოლოზის-ძეს — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.
5. **ბალავაძეს** ბენედიქტე კონსტანტინეს-ძეს — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ტექნიკის მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარეს.
3. **მშვენიერაძეს** დომენტი მელიტონის-ძეს — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორს.
4. **როინიშვილს** ნიკოლოზ მინას-ძეს — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორს.
5. **ქუთათელაძეს** კალისტრატე სეგერიანეს-ძეს — პროფესორს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამშენ მასალათა მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორს.
6. **ცისკრელს** გიორგი დარჩოს-ძეს — პროფესორს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელს.
7. **ხვიჩიას** ალექსანდრე ტაგუს-ძეს — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორს.
8. **ხოჭოლავას** ივანე ანდრიას-ძეს — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს.
9. **ხუბერიანს** კონსტანტინე მიხეილის-ძეს — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ნაგებობის თეორიის სექტორის ხელმძღვანელს.
10. **ჩოკოევს** ალექსანდრე ალექსანდრეს-ძეს — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ელექტროტექნიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს.
11. **ჩუბინიშვილს** ალექსანდრე ალექსანდრეს-ძეს — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორს.
12. **ჩუბინიშვილს** ალექსანდრე ალექსანდრეს-ძეს — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორს.
13. **ჭანკვეტაძეს** ალექსანდრე ალექსანდრეს-ძეს — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორს.
14. **ჭანტურიას** ალექსანდრე ალექსანდრეს-ძეს — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორს.
15. **ჭანკვეტაძეს** ალექსანდრე ალექსანდრეს-ძეს — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორს.
16. **ჭანკვეტაძეს** ალექსანდრე ალექსანდრეს-ძეს — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორს.
17. **ჭანკვეტაძეს** ალექსანდრე ალექსანდრეს-ძეს — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორს.
18. **ჭანკვეტაძეს** ალექსანდრე ალექსანდრეს-ძეს — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორს.
19. **ჭანკვეტაძეს** ალექსანდრე ალექსანდრეს-ძეს — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორს.
20. **ჭანკავას** მიხეილ ბართლომეს-ძეს — ფოლოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს.
21. **ჭაკუშაძეს** ტერენტი ისიდორეს-ძეს — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგეს.
22. **ჭამალოვს** ნიკოლოზ გერასიმეს-ძეს — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კათედრის გამგეს.
23. **ჭაკიტაძეს** ვასილ თადეოზის-ძეს — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.
24. **ჭოჭოშვილს** ვიქტორ ივანეს-ძეს — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორს თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს.
25. **ჭომახიძეს** მამია ესედის-ძეს — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.
26. **ჭათეშვილს** გიორგი იოსების-ძეს — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კარდიოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს.
27. **ჭათიკაშვილს** ირაკლი ლავრენტის-ძეს — პროფესორს, ზოოვეტერინარიის ინსტიტუტის კათედრის გამგეს.
28. **ჭაისურაძეს** ზაქარია ნიკოლოზის-ძეს — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორს.
29. **ჭეგრელიძეს** კასიანე იოსების-ძეს — თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.
30. **ჭინაღარაშვილს** ათინოგენ ჯამულეთის-ძეს — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს.
31. **ჭესტიაშვილს** გიორგი ვლადიმერის-ძეს — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კათედრის გამგეს.
32. **ჭეტბერიშვილს** გიორგი ესეს-ძეს — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.
33. **ჭშვიდობაძეს** არისტარხე ევსევის-ძეს — ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.
34. **ნემსაძეს** ვლადიმერ ალექსანდრეს-ძეს — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.
35. **ნორაკიძეს** ვლადიმერ გიორგის-ძეს — პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს.
36. **ნუცუბიძეს** შალვა ისაკის-ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს.
37. **პაპიტაშვილს** მიხეილ ერმოლოზის-ძეს — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეანობისა და გინეკოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილების გამგეს.
38. **უღენს** პეტრე მაქსიმეს-ძეს — პროფესორს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორს.
39. **რამიშვილს** მაქსიმე ათანასეს-ძეს — მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს.
40. **როსტომაძეს** ვალერიან ნიკოლოზის-ძეს — პროფესორს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.
41. **რუხაძეს** ალექსანდრე კალისტრატეს-ძეს — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დეკანს.
42. **რცხილაძეს** ირაკლი მიხეილის-ძეს — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს. პროფესორს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.
43. **საკაშვილს** მიხეილ გიორგის-ძეს — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.
44. **სიჭინავას** ანტონ ილარიონის-ძეს — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პედიატრიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილების გამგეს.
45. **სურგულაძეს** ივანე იულონის-ძეს — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს.
46. **ტაბიძეს** დიმიტრი ივანეს-ძეს — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილების გამგეს.
47. **უსტიაშვილს** ალექსი დიმიტრის-ძეს — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.
48. **ფირცხალაიშვილს** ალექსანდრე გიორგის-ძეს — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.
49. **ფოფხაძეს** ნიკონ ავქსენტის-ძეს — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.
50. **ფრანგიშვილს** ალექსანდრე სეგერიანეს-ძეს — პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს.
51. **ფხალაძეს** გრიგოლ მარკოზის-ძეს — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კათედრის გამგეს.
52. **ქანთარიას** ვალერიან ირაკლის-ძეს — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს.

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

გრაზილიის სავაჭრო დელეგაციის მეთაური ლეაო დე მაურა

8 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ბრაზილიის სეფიალური სავაჭრო დელეგაციის მეთაური მინისტრის რანგით პაულო ლეაო დე მაურა, რომელიც მოსკოვში იმყოფება.

საუბრის დროს ბ-ნმა ლეაო დე მაურამ განაცხადა, რომ საბჭოთა წარმომადგენლებთან მისი ახლანდელი მოლაპარაკების მიზანი ის არის, რომ გამონახოს საბჭოთა კავშირ-ბრაზილიის სავაჭრო ურთიერთობის განვითარების გზები და საშუალებები, აიყვანოს საბჭოთა კავშირსა და ბრაზილიას შორის ვაჭრობა ისეთ დონემდე, რომელიც უფრო მეტად შეესაბამება ამ ორი ქვეყნის დიდ ეკონომიურ მნიშვნელობასა და მათს შესაძლებლობებს ეკონომიურად ითანამშრომლონ ერთმანეთთან.

ბ-ნმა ლეაო დე მაურამ აგრეთვე გადასცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბრაზილიის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბ-ნ ჟანიო კუადროსის პირადი სალამი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა, რომ იგი ბ-ნ ლეაო დე მაურას უსურვებს ყოველგვარ წარმატებას მისი მისიის შესრულებაში, რადგან სავსებით იზიარებს იმ აზრს, რომ საბჭოთა კავშირ-ბრაზილიის ვაჭრობამ უნდა მიაღწიოს მაღალ დონეს. მან დასძინა, რომ ამ მიზნის მისაღწევად და ამ ორ ქვეყანას შორის საერთო ურთიერთობის გასაუმჯობესებლად უნდა განახლდეს დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და ბრაზილიას შორის, რამდენადაც ამ ურთიერთობის აღდგენა უთუოდ იქნება აგრეთვე დიდმნიშვნელოვანი სტიმული ვაჭრობის გაფართოებისათვის.

ბ-ნ კუადროსის მისალმების პასუხად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ბ-ნ ლეაო დე მაურას გადასცეს ბრაზილიის პრეზიდენტს პირადად მისი საუკეთესო სურვილები.

საუბარს დაესწრნენ ბრაზილიის დელეგაციის წევრი პაულო ამელიო დო ნასიმენტო სილვა და სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

კუბის ახალგაზრდობის დელეგაცია

4 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომ

საქართველოს კომპარტიის იდეოლოგიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. პ. მეკავანაძე,

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ბოლო **ათწლეული** კომუნისტური მშენებლობის პროგრამაში, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ მიიღო, ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს ამოცანებს იდეოლოგიური მუშაობის დარგში. კომუნიზმი გულისხმობს ადამიანის, მისი უნარის, წიგნის, შემოქმედებითი აქტივობის ყოველმხრივ განვითარებას. ამიტომ თანამედროვე ეტაპზე პარტიის მთელი იდეოლოგიური მუშაობა მიმართულია მშრომელთა კომუნისტური შეგნებულობის ამაღლებისაკენ, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მათი აღზრდისაკენ, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების აღმოფხვრისათვის.

„შვიდწლიანი გეგმით დასახული ამოცანების სიდიადე, — ნათქვამია XXI ყრილობის რეზოლუციაში, — მოითხოვს მშრომელთა ფართო მასების კომუნისტური შეგნებულობის შემდგომ ამაღლებას, ჩვენი კადრების, ყველა საბჭოთა ადამიანის მარქსისტულ-ლენინური აღზრდის გაძლიერებას. პარტიის იდეოლოგიური მუშაობის ყველა საშუალება — პროპაგანდა, აგიტაცია, პრესა, რადიო, მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება — მიმართული უნდა იყოს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისაკენ“.

საქართველოს კომუნისტური პარტია, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყველა სხვა ორგანიზაცია, თანმიმდევრულად ახორციელებს პარტიის XXI ყრილობის ამ ბრძნულ მითითებებს.

იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მხარეა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ცალკეული ორგანიზაციების გმირული ისტორიის შესწავლა. ექსპლოატატორთა ძალაუფლების დამხობისათვის, საბჭოთა წყობილების გამარჯვებისა და განმტკიცებისათვის, სსრ კავშირში სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის მშრომელი მასების ბრძოლის ხელმძღვანელობის საქმეში კომუნისტური პარტიის გამოცდილების ღრმად შესწავლას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამჟამად, გამლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდში, როცა პარტიის ხელმძღვანელი როლი სულ უფრო იზრდება.

სკკპ XX და XXI ყრილობების შემდეგ, რომლებმაც ისტორიულ-პარტიული მეცნიერების ახალი დიდი ამოცანები დაუსახეს, შესამჩნევად ამაღლდა ამიერკავკასიის პარტორგანიზაციების ისტორიის შესწავლისათვის მუშაობის დონე. საქართველოში, ისევე როგორც ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებში, შექმნილია მთელი რიგი სერიოზული მეცნიერული შრომები, რომლებიც აშუქებენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების — საბჭოთა კავშირის ერთიანი კომუნისტური პარტიის ერთგული მებრძოლი რაზმების ისტორიულ გზას. მაგალითად, ქართველ ისტორიკოსთა მრავალრიცხოვანმა კოლექტივმა დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს პარტორგანიზაციის ისტორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემების შესწავლასა და შემუშავებაში. 1957 წელს რუსულ და ქართულ ენებზე გამოიცა „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევების 1-ლი ნაწილი“, ამ შრომაში დიდი დოკუმენტური მასალის საფუძველზე პირველად სისტემატურად გადმოცემულია მდიდარი და მკაფიო ისტორია ბოლშევიკების რევოლუციური მოღვაწეობისა საქართველოში პირველი მარქსისტული ორგანიზაციის გაჩენის მომენტიდან (1893 წ.) საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე (1921 წ.).

პარტიული და მეცნიერული საზოგადოებრიობის ფართო წრეებმა საერთოდ დადებითად შეაფასეს ეს წიგნი. მაგრამ გამოთქმა სერიოზული კრიტიკული შენიშვნებიც, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდგომ გამოცემის მომზადების დროს. საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიაში ისეთი სრულფასოვანი შრომის შესაქმნელად, რომელიც ისტორიულ-პარტიული მეცნიერების თანამედროვე დონის შესაბამისი იქნება, საჭიროა ღრმად შესწავლა და ათვისება მთელი იმ წინათ გამოთქვლეული დოკუმენტური მასალისა, რომელიც დაგროვდა „წარკვეგების“ პირველი გამოცემის გამოსვლის დროიდან.

ქართველმა მეცნიერებმა შექმნეს მთელი რიგი მონოგრაფიული ნაშრომები, რომლებიც აშუქებენ ამიერკავკასიაში პარტიული ორგანიზაციებისა და რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ცალკეულ პრობლემებს. გამოცემულია აგრეთვე დოკუმენტების და მასალების სიანტერესო კრებულები. უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული მრავალი ნაშრომიდან, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს პარტორგანიზაციის ისტორიის გაშუქებაში, უნდა აღინიშნოს, ლ. გორგილაძის „მარქსიზმის ისტორიისათვის საქართველოში“, გ. ქვანიას „ამიერკავკასიის ბოლშევიკური პრესა რუსეთის პირველი რევოლუციის წინ და რევოლუციის პერიოდში“, ლ. ებანოიძის „საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში“, ბ. სურგულაძის „ამიერკავკასიის მშრომელთა ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის“, ვ. ესაიაშვილის „ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები“, სოლიდურ დოკუმენტურ ბაზაზე დაწერილი ეს ნაშრომები წინათ გამოცემულ ნაშრომებზე გაცილებით უფრო სრულად და მკაფიოდ გვიჩვენებენ საქართველოს რევოლუციური ბრძოლის ერთიანობას სრულიად რუსეთის რევოლუციურ მოძრაობასთან. ამ ნაშრომებში გაშუქებულია ვ. ი. ლენინისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი საქართველოს და მთლიანად ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მოღვაწეობაში. ზემოთ ჩამოთვლილი წიგნების მნიშვნელოვანი ღირსებაა ისიც, რომ ისინი სწორად გვიჩვენებენ ხალხის მასების, აგრეთვე ამიერკავკასიის რევოლუციური მოძრაობის მთელ რიგ თვალსაჩინო მოღვაწეთა როლს, რომელთაგან ბევრი დაუმსახურებლად იყო დავიწყებული. პარტიის ქართველმა ისტორიკოსებმა უკვე საკმაოდ ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ გამოესწორებინათ უხეში შეცდომები და ისტორიული სინამდვილის შეგნებული დამახინჯებანი, რომელთა წყარო იყო საბჭოთა ხალხის უბოროტესი მტრის ბერიას და მის თანამონაწილეთა მავნე ნაწერები.

კვლევის ერთ-ერთ ცენტრალურ და ყველაზე რთულ პრობლემას წარმოადგენს საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების საკითხი. მართალია, ამ თემას უკვე მიძღვნილი ჰქონდა ბევრი წიგნი და სტატია. მაგრამ მთელი რიგი საკვანძო მომენტები საკმაოდ ღრმად და ისტორიულად ზუსტად ჯერ კიდევ არ იყო გაშუქებული. სერიოზული უთანხმოება არსებობს მეცნიერებს შორის მთელ რიგ პრინციპულ საკითხებში, მაგალითად, საქართველოში ორხელისუფლებიანობის და საბჭოების როლის საკითხში.

ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინს ორხელისუფლებიანობა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის უმნიშვნელოვანეს თავისებურებად მიაჩნდა. „ჩვენი რევოლუციის ყველაზე მთავარი თავისებურება, — ხაზგასმით აღნიშნავდა იგი, — რომელიც ყველაზე უფრო დაკანონებით მოითხოვს მისდამი მოფფრქრებულ მოპყრობას, ეს არის რევოლუციის გამარჯვების პირველ დღეებშივე შექმნილი **ორხელისუფლებიანობა“.** მაგრამ ზოგიერთი ისტორიკოსი, იმოწმებს რა საქართველოს ისტორიული განვითარების სპეციფიკურ თავისებურებებს, უარყოფს ორხელისუფლებიანობის არსებობას საქართველოში. მათი თვალსაზრისით საბჭოები საქართველოში მათი გაჩენის მომენტიდან თითქოს გახდნენ დროებითი მთავრობის მიერ შექმნილი ამიერკავკასიის გაწსაკუთრებული კომიტეტისა და მისი ადგილობრივი ორგანოების მხოლოდ დანამატი. ეს თვალსაზრისი ახალი როდია. ისტორიულ ლიტერატურაში იგი პირველად გაჩნდა ჯერ კიდევ 30-იან წლებში, მაგრამ უკვე მაშინ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. მხარდაჭერას ვერ პოულობს იგი ახლაც. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, აგრეთვე ამიერკავკასიის რესპუბლიკების ისტორიკოსები, რომლებიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამსვლელ სესიაში, რომელიც 1958 წლის დამლევს ბაქოში გაიმართა, ფაქტების გულდასმითი ანალიზის საფუძველზე იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ უსაფუძვლოა მტკიცება, თითქოს საქართველოს არ განუცდია ორხელისუფლებიანობა.

ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში საკმაოდ ღრმად არ შუქდება ისეთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემებიც, როგორიც არის შეფასება ამიერკავკასიის პოლიტიკური სიტუაციისა დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პერიოდში და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შეფერხების მიზეზები. ზოგიერთი ისტორიკოსი თავს აჩიდებს ამიერკავკასიის საშინაო და საგარეო მდგომარეობის ყოველმხრივ ანალიზს, ამარტივებს საკმეს და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შეფერხების მიზეზებად თვლის მხოლოდ ინგლისგზავნილ პარტორგანიზაციებისა და ცალკეული ხელმძღვანელების შეცდომებს. ასეთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემებისადმი ზეგულ დამოკიდებულებას შედეგად მოსდევს სერიოზული შეცდომები და მეცნიერული საკითხების გადაჭრისადმი პარტიული მიდგომის დაკარგვა.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები ყოველთვის ერთიანი ფრონტით გამოდიოდნენ ცარიზმისა და კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ერთობლივი რევოლუციური საქმიანობის ეს ისტორიული გამოცდილება ჯერ კიდევ არ არის ჯეროვნად შესწავლილი და განზოგადებული. ამიტომ ყოველნაირად უნდა მივესალმოთ ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ერთიანი ისტორიის შემუშავებას, რომელიც მოიცავს პერიოდს მათი გაჩენის დროიდან აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომპარტიების შექმნამდე.

ახლა საქართველოს ისტორიკოსების პირველი რიგის ამოცანაა შესწავლა სოციალიზმის ეპოქისა, რომელიც გაცილებით უფრო სუსტად არის გამოკვლეული, ვიდრე რევოლუციამდელი პერიოდი. ამჟამად ამ საკითხის დამუშავებას საკმაოდ ფართო გაქანება მიეცა, ამასთან მკვლევართა ყველაზე უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს დიდი სამამულო ომის წლები და ომისშემდგომი პერიოდი. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ცოტა რამ არის გაკეთებული. ჩვენში ჯერ კიდევ მეტისმეტად ცოტაა ნაშრომები, რომლებიც შეიცავენ კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პრობლემების, თანამედროვე ეტაპზე კომუნისტური მშენებლობის ხელმძღვანელობაში პარტიული ორგანიზაციების გამოცდილების მეცნიერულად დამუშავებას. ამ პრობლემების გამოკვლევას უნდა მივაპყროთ ყურადღება არა მარტო პარტიის ისტორიკოსებისა, არამედ სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა წარმომადგენლებისაც, პირველ რიგში ეკონომისტებისა და ფილოსოფოსებისა.

ისტორიულ-პარტიული პრობლემების დამუშავებას ეწევიან საქართველოს მთელი რიგი სამეცნიერო დაწესებულებანი და უმაღლესი სასწავლებლების კათედრები, მათ შორის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრები. ამ დარგში ძირითადი სამეცნიერო ცენტრია საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი. გაითვალისწინა რა ამ სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულების დიდი მნიშვნელობა, საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა იქ თავის დროზე გაგზავნა ყველაზე კვალიფიციური სპეციალისტები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიიდან და მთელი რიგი უმაღლესი სასწავლებლებიდან. ინსტიტუტმა თავისი არსებობის მანძილზე საკმაოდ დიდი შრომა გასწია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების თარგმნისა და გამოცემებისათვის.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაწარმოებთა პირველი თარგმანები ქართულ ენაზე განხორციელდა გასული საუკუნის 90-იანი წლების დამლევს. რუსეთის 1905-1907 წლების პირველი რევოლუციის პერიოდში ქართულ ენაზე გამოიცა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“. უფრო გვიან საქართველოში ვრცელდებოდა მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელთა ზოგიერთი სხვა შრომაც. მაგრამ მარქსიზმის კლასიკოსთა შრომების ფართო მასშტაბით გამოცემა შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა პირობებში. ახლა ქართველ მკითხველს შეუძლია დედაენაზე შეისწავლოს მარქსისა და ენგელსის ყველა ძირითადი ნაწარმოები, მათ შორის კ. მარქსის უკვდავი შრომა „კაპიტალიც“, რომელიც საქართველოში პირველად გამოიცა 30-იან წლებში და უკვე მაშინ უაღრესად ფართოდ გავრცელდა. ამას წინათ დამთავრდა „კაპიტალის“ ყველა ტომის მეორე გამოცემა. გარდა ამისა, გამოშვებულია კ. მარქსისა და ფ. ენგელსის რჩეული ნაწერების ორტომეული, აგრეთვე კ. მარქსის „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ და „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“, ფ. ენგელსის „ანტი-დიურინგი“, „ბუნების დიალექტიკა“, „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“ და კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაწარმოებთა კრებული „ინგლისის შესახებ“.

ვ. ი. ლენინის ნაწარმოებები ქართულ ენაზე გამოჩნდა უკვე 1903 წელს. 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში ითარგმნა ვ. ი. ლენინის „სოფლის ღარიბებისადმი“, „მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა“ და მთელი რიგი სხვა ნაშრომები. ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა ქართულ ენაზე გამოცემამ მასობრივი და გეგმაზომიერი ხასიათი მიიღო. მრავალჯერ გამოიცა ცალკეული ნაწარმოებნი: „რა ვაკეთოთ?“, „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“, „მემარცხენეობის“ საყმაწვილო სენი კომუნიზმში“ და სხვები. რამდენიმე წლის წინათ დამთავრდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა კრებულის 35 ტომის გამოცემა; ამჟამად ითარგმნება და გამოდის დამატებითი ტომები. ქართულ ენაზე გამოიცა აგრეთვე ი. ბ. სტალინის ნაწარმოებები.

სკკპ ისტორიული XX ყრილობის შემდეგ, რომელმაც მკვლევართა ღონისძიებანი წარმართა პარტიის ისტორიის შემდგომი შემუშავებისა და შესწავლის გზით, საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა ინსტიტუტს პირველი რიგის ამოცანად დაუსახა საქართველოს კომპარტიის ისტორიის დაწერა. ამ ნაშრომის დიდ მნიშვნელობას მეტწილად განსაზღვრავდა ის, რომ საჭირო იყო რაც შეიძლება სწრაფად დაძლევა პიროვნების კულტთან დაკავშირებული შეცდომებისა, რომლებიც მეტად ფართოდ იყო გავრცელებული საერთოდ ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოს პარტორგანიზაციების ისტორიის დარგის სამეცნიერო და პროპაგანდისტულ ლიტერატურაში. ამჟამად მეცნიერ თანამშრომელთა კოლექტივი ამთავრებს მუშაობას „საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევების“ მე-2 ნაწილზე, რომელიც მოიცავს პერიოდს საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებიდან ჩვენს დროამდე. ინსტიტუტი ამუშავებს ავრეთვე კომკავშირისა და რესპუბლიკაში პროფესიული მოძრაობის ისტორიას.

საზოგადოებრიობის დადებითი შეფასება მიიღო ინსტიტუტის მიერ მომზადებულმა წიგნებმა, რომლებშიც გაშუქებულია კომუნისტური პარტიის გამოჩენილი ხელმძღვანელებისა და საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ორგანიზატორების — ი. ბ. სტალინის, მ. ი. კალინინის, გ. კ. ორჯონიკიძის, ს. მ. კიროვის, მ. გ. ცხაკაიას, ს. გ. შაუმიანის, ა. ბ. მიქოიანის, ფ. ი. მახარაძის, პ. ა. ჯაფარიძის, ვ. ბ. ცეცხოველის, ა. გ. წულუკიძის, ნ. ნ. ნარიმანოვის ცხოვრება და მოღვაწეობა. ეს შრომები ხელს უწყობენ მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის აღზრდას კომუნისტური პარტიის სახელოვანი საბრძოლო ტრადიციების, ხალხის ინტერესებისადმი, კომუნიზმის გამარჯვების საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

ისტორიულ-პარტიული კვლევის შემდგომი წარმატება ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მეჩქაროდ შეეძლებთ ყველა იმ სამეცნიერო დაწესებულების საქმიანობის კოორდინაციას, რომლებიც მუშაობენ საერთო ისტორიულ-პარტიულ პრობლემებზე როგორც საქართველოს სს რესპუბლიკაში, ისე სხვა რესპუბლიკებში. მომიჯნავე პრობლემების დარგში ასეთი კოორდინაცია განსაკუთრებით საჭიროა ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკის პარტიის ისტორიის ინსტიტუტებს შორის. მხოლოდ ამ გზით შეიძლება თავიდან ავიცილოთ ცალმხრივობა და უსრულობა ამიერკავკასიის რევოლუციური მოძრაობის ისტორიის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხების გაშუქებაში. ერთიანი ფრონტით რომ მივიღეთ, ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის პარტიის ისტორიკოსები წარმატებით გაართმევენ თავს მათ წინაშე მდგომ ძირითად ამოცანას — თანამედროვე ეტაპზე კომუნიზმის მშენებლობის პრობლემების შესწავლას. მაგრამ ამ მუშაობას ჯერ კიდევ არ მიუღია საჭირო გაქანება.

ათელი ჩვენი ქვეყნის იდეური ცხოვრება ამამოძრავა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიულმა დადგენილებამ „თანამედროვე პირობებში პარტიული პროპაგანდის ამოცანების შესახებ“. ამ დადგენილებას რომ იღებდა, ცენტრალური კომიტეტი ემყარებოდა იმას, რომ მასების აღზრდაში პარტიული პროპაგანდის ქმედითობა მით უფრო დიდი იქნება, რაც უფრო მჭიდროდ იქნება დაკავშირებული ეს პროპაგანდა კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან, ხალხის ისტორიულ შემოქმედებასთან. თანამედროვე პირობებში იდეოლოგიური მუშაობის მთავარი მიმართულება, რომელიც მთლიანად გაამართლა თავისი დანიშნულება, ეს არის ადამიანთა აღზრდა შრომის პროცესში, კომუნიზმისათვის ბრძოლის მსვლელობაში. ამიტომ „პარტიული პროპაგანდა უნდა ხორციელდებოდეს კონკრეტულად და მიზანსწრაფულად, რაზმავდეს მშრომელებს მომწიფებული სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად“. ცოდნა არა ცოდნისათვის, არამედ მომავლის მოსაპოვებლად შრომისათვის, რათა ენაზე გამოცემამ მასობრივი და გეგმაზომიერი ხასიათი მიიღო. მრავალჯერ გამოიცა ცალკეული ნაწარმოებნი: „რა ვაკეთოთ?“, „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“, „მემარცხენეობის“ საყმაწვილო სენი კომუნიზმში“ და სხვები. რამდენიმე წლის წინათ დამთავრდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა კრებულის 35 ტომის გამოცემა; ამჟამად ითარგმნება და გამოდის დამატებითი ტომები. ქართულ ენაზე გამოიცა აგრეთვე ი. ბ. სტალინის ნაწარმოებები.

სკკპ ისტორიული XX ყრილობის შემდეგ, რომელმაც მკვლევართა ღონისძიებანი წარმართა პარტიის ისტორიის შემდგომი შემუშავებისა და დამუშავების გზით, საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა ინსტიტუტს პირველი რიგის ამოცანად დაუსახა საქართველოს კომპარტიის ისტორიის დაწერა. ამ ნაშრომის დიდ მნიშვნელობას მეტწილად განსაზღვრავდა ის, რომ საჭირო იყო რაც შეიძლება სწრაფად დაძლევა პიროვნების კულტთან დაკავშირებული შეცდომებისა, რომლებიც მეტად ფართოდ იყო გავრცელებული საერთოდ ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოს პარტორგანიზაციების ისტორიის დარგის სამეცნიერო და პროპაგანდისტულ ლიტერატურაში. ამჟამად მეცნიერ თანამშრომელთა კოლექტივი ამთავრებს მუშობას „საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევების“ მე-2 ნაწილზე, რომელიც მოიცავს პერიოდს საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებიდან ჩვენს დროამდე. ინსტიტუტი ამუშავებს ავრეთვე კომკავშირისა და რესპუბლიკაში პროფესიული მოძრაობის ისტორიას.

საზოგადოებრიობის დადებითი შეფასება მიიღო ინსტიტუტის მიერ მომზადებულმა წიგნებმა, რომლებშიც გაშუქებულია კომუნისტური პარტიის გამოჩენილი ხელმძღვანელებისა და საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ორგანიზატორების — ი. ბ. სტალინის, მ. ი. კალინინის, გ. კ. ორჯონიკიძის, ს. მ. კიროვის, მ. გ. ცხაკაიას, ს. გ. შაუმიანის, ა. ბ. მიქოიანის, ფ. ი. მახარაძის, პ. ა. ჯაფარიძის, ვ. ბ. ცეცხოველის, ა. გ. წულუკიძის, ნ. ნ. ნარიმანოვის ცხოვრება და მოღვაწეობა. ეს შრომები ხელს უწყობენ მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის აღზრდას კომუნისტური პარტიის სახელოვანი საბრძოლო ტრადიციების, ხალხის ინტერესებისადმი, კომუნიზმის გამარჯვების საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

ისტორიულ-პარტიული კვლევის შემდგომი წარმატება ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მეჩქაროდ შევძლებთ ყველა იმ სამეცნიერო დაწესებულების საქმიანობის კოორდინაციას, რომლებიც მუშაობენ საერთო ისტორიულ-პარტიულ პრობლემებზე როგორც საქართველოს სს რესპუბლიკაში, ისე სხვა რესპუბლიკებში. მომიჯნავე პრობლემების დარგში ასეთი კოორდინაცია განსაკუთრებით საჭიროა ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკის პარტიის ისტორიის ინსტიტუტებს შორის. მხოლოდ ამ გზით შეიძლება თავიდან ავიცილოთ ცალმხრივობა და უსრულობა ამიერკავკასიის რევოლუციური მოძრაობის ისტორიის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხების გაშუქებაში. ერთიანი ფრონტით რომ მივიღეთ, ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის პარტიის ისტორიკოსები წარმატებით გაართმევენ თავს მათ წინაშე მდგომ ძირითად ამოცანას — თანამედროვე ეტაპზე კომუნიზმის მშენებლობის პრობლემების შესწავლას. მაგრამ ამ მუშაობას ჯერ კიდევ არ მიუღია საჭირო გაქანება.

აბ**ა**ლ**ი** **ა**ბ**ა**ლ**ი** **ა**ბ**ა**ლ**ი** **

მუშაობის ზოგიერთი საკითხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლობს მუშაობისაგან თავისუფალ დროს. ამას კი ხომ მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. კომუნისტურად, ესე იგი უმაღლესი ნაყოფიერებით რომ მუშაობდე, საჭიროა გქონდეს საერთო კულტურის გარკვეული დონე, სპეციალური ცოდნის საკმაოდ დიდი მარაგი, ამისათვის კი საჭიროა მუდამ სწავლობდე. იმაღლებდე პოლიტიკურ დონესა და პროფესიულ კვალიფიკაციას. ჩვენში შრომის მოწინავეები, როგორც წესი, ყველაფერში მოწინავენი არიან. ესენი არიან მტკიცე ნებისყოფის, უდიდესი შინაგანი სილამაზის ადამიანები, რომლებიც განუხრელად ისწრაფვიან წინ, ახალი ჰორიზონტებისაკენ. და მათ ისე უნდა ვიჩვენებდეთ, რომ მშრომელთა მასებს ისინი მიაჩნდეთ მაგალითად, რომ მათგან სწავლობდნენ მუშაობასა და ცხოვრებას.

დიდი ნაკლი საქართველოში გამომავალი ჟურნალ-გაზეთებისა ერთხანს ის იყო, რომ მათში არ იბეჭდებოდა სერიოზული პროპაგანდისტული სტატიები სკკპ ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტეკონომიის საკითხებზე. მეტად ზერელედ შეტქდებოდა პარტიული ორგანიზაციების მუშაობა, პრესაში სრულებით არ იყო ასახული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მთელი რიგი აქტუალური საკითხები. ამ ნაკლოვანებებს სერიოზული ყურადღება მიაქციეს საქართველოს კპ XX ყრილობამ (1960 წ. იანვარი) და რესპუბლიკურმა თათბირმა პროპაგანდის საკითხებზე (1960 წ. თებერვალი).

1960 წელს, მას შემდეგ რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „თანამედროვე პირობებში პარტიული პროპაგანდის ამოცანების შესახებ“, რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებმა მნიშვნელოვნად გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა. რესპუბლიკური გაზეთები „კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“, ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის გაზეთები, ბევრი საქალაქო და რაიონული გაზეთი ძირფას თაოსნობას იჩენდნენ. ისინი ახლა მეტ ყურადღებას აქცევენ იდეოლოგიის საკითხებს. შესამჩნევად გაუმჯობესეს თავიანთი მუშაობა აგრეთვე რადიომ და ტელევიზიამ. თუ 1960 წ. იანვარში რადიოცემებს პოლიტიკურ საკითხებზე დღეში მეში მხოლოდ 3 საათი ეჭირა, ახლა უჭირავს 4.5 საათი. წინანდელი 9-ის ნაცვლად ახლა ყოველთვიურად ეწყობა 16-18 პროპაგანდისტული გადაცემა. ეს გადაცემები უფრო კონკრეტული, შინაარსიანი გახდა. დიდი წარმატებით სარგებლობს გადაცემები ციკლიდან „მოწინავეთა ტრიბუნა“, რომლებიც პოპულარიზაციას უწევენ შვიდწლედის გმირთა, ნოვატორთა გამოცდილებას. მარტო 1960 წ. იანვარსა და ივლისში მიკროფონთან გამოვიდა სოფლის მეურნეობის ასამდე ნოვატორი და სპეციალისტი.

პარტიული ორგანიზაციები უნდა იყენებდნენ იდეური აღზრდის უკანგებლივ ყველა საშუალებას და ამავე დროს ერთი წუთითაც არ უნდა ასუსტებდნენ უაღრესად შეურიგებელ ბრძოლას ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ. კომუნიზმისადმი უცხო და პირდაპირ მტრული გავლენა ზოგჯერ შეუმჩნევლად იპარება კინოთეატრების ეკრანიდან, თანამედროვე უცხოელ მწერალთა წიგნების ფურცლებიდან, უცხოეთის რადიოგადაცემებიდან და ა. პრესის მეშვეობით. რა თქმა უნდა, ბურჟუაზიული პროპაგანდა ჩვენს ქვეყანაში რამდენადმე ხელსაყრელ ნიადაგს ვერ იპოვნის. მაგრამ პოლიტიკურად მოუმწიფებელი და ცხოვრების საკმაო გამოცდილების უქონელი ახალგაზრდობის მცირე ნაწილი რაღაც ზომით განიცდის ჩვენთვის უცხო ამ გავლენას. ზოგიერთი ახალგაზრდა, რომელსაც უნარი არა აქვს სწორად გაერკვეს საკუთარ შთაბეჭდილებებში, მოვლენათა არსში, იჩენს ცუდ მიდრეკილებას — ბრმად ბაძავდეს საზღვარგარეთის ნიმუშებს. და თუმცა ასეთი ადამიანები ძალიან ცოტანი არიან საქართველოს ახალგაზრდობაში, რომელმაც სახელი გაითქვა საერთო-სახალხო შრომაში თავისი აქტიური მონაწილეობით, მათი ბედი მაინც არ შეიძლება არ აფიქრებდეს პარტიულ ორგანიზაციებს.

ახალგაზრდა თაობის იდეური აღზრდა რესპუბლიკის ყველა პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციის საპატიო საქმეა. პოლიტიკური მუშაობა ახალგაზრდობაში უნდა ეხმარებოდეს მას სწორად ერკვეოდეს საზოგადოებრივ მოვლენებში, ღრმა პირად რწმენად აქციეოდეს კომუნისტური მორალის პრინციპებს. ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაჭრას რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაცია უაღრესად სერიოზულ ყურადღებას აქცევს. პარტია კომკავშირში ხედავს თავის საიმედო დასაყრდენს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში, ადამიანთა შეგნებაში წარსულის ბოდმონაშთებთან ბრძოლაში.

საქართველოს კომპარტიის იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ბრძოლა შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

მასების შეგნებულობის, პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის ამაღლებაში უდიდეს როლს ასრულებს წიგნი, ლიტერატურა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გამომცემლობათა მუშაკები იდეოლოგიური ფრონტის მოწინავე ხაზზე იმყოფებიან — ისინი პასუხს აგებენ პარტიის მთელი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბნისათვის. საქართველოს გამომცემლობებმა მცირე წარმატებებს როდი მიაღწიეს. მათი წიგნის პროდუქცია წლითიწლობით იზრდება. ცნობილია, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე დიდ ისტორიულ ვადაში — 300 წელიწადში — გამოცემული იყო მხოლოდ 6 ათასამდე წიგნი 1 მილიონი ცალი საერთო ტირაჟით. საბჭოთა ხელისუფლების დროს კი მარტო უკანასკნელ ორ წელიწადში ჩვენში გამოიცა 4.700 წიგნი 24 მილიონ ცალზე მეტი საერთო ტირაჟით. კაპიტალურ მეცნიერულ შრომებთან, კლასიკური და საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებთან ერთად საქართველოს გამომცემლობანი უშვებენ მრავალ წიგნსა და ბროშურას, რომლებიც პროპაგანდას უწევენ წარმოების ორგანიზაციის მოწინავე მეთოდებს. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორთა გამოცდილებას.

მაგრამ საქართველოს გამომცემლობებმა ჯერ კიდევ ცოტა წიგნი მისცეს ხალხს კომუნისტური მშენებლობის მთელ ოდენ დიდმნიშვნელოვან პრობლემებზე. ამავე დროს წიგნის პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაწოლილია მაღაზიების თაროებზე, ვიდაც თავისი შინაარსით მეტად შორს არის იმ საკითხებისა და საქმეებისაგან, რომლებიც ახლა საბჭოთა ადამიანებს აღელვებს, რომლებთაც ცოცხლობს კომუნიზმის მშენებელი მთელი ჩვენი ქვეყანა.

საქართველოში გამოცემული ზოგიერთი ისტორიული გამოკვლევა და მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოები მნიშვნელოვან იდეურ მანკს შეიცავს. ერთ-ერთი ეს მანკი შეიძლება დავახასიათოთ როგორც ცრუპატრიოტიზმი. იგი თავს იჩენს საქართველოს ისტორიული წარსულის იდეალიზაციით, საქართველოში ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის ეპოქების შელამაზებულად გამოხატვით. ისტორიული წარსულისადმი ასეთი მიდგომა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ხასიათის შეცდომებს წარმოშობს. მაგალითად, ზოგიერთი ავტორი თვალ ყურადღებას აპყრობს რუსეთის ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის ჩვენებას და საკმაოდ არ აშუქებს იმ მწვავე, განუწყვეტელ კლასობრივ ბრძოლას, რომელსაც საქართველოს მშრომელი მასები ეწეოდნენ თავიანთი ფეოდალებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ.

ქართველი ხალხის ისტორია მდიდარია ბრძოლისა და გამარჯვებათა შესანიშნავი მაგალითებით და შელამაზებას არ საჭიროებს. საქართველოს საუკეთესო შვილები რუს ხალხთან და ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ერთად გმირულად იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, დიდი ლენინის იდეების გამარჯვებისათვის. ქართველი ხალხის მეგობრობას დიდ რუს ხალხთან და ჩვენი სამშობლოს სხვა ხალხებთან ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. ამ მეგობრობისა და ერთობლივად მიღწეულ ისტორიულ გამარჯვებათა შესახებ საჭიროა სიმართლით აღსავსე წიგნები, რომლებსაც საბჭოთა მკითხველი სიამოვნებით მიიღებს.

გამომცემლობათა მუშაობის არსებითმა ნაკლოვანებებმა და შეცდომებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ყურადღება მიიპყრო. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ გამომცემლობათა მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ“. ეს ნაკლოვანებანი დეტალური განხილვის საგანი იყო აგრეთვე გამომცემლობების და პოლიგრაფიული მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე, რომელიც საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია 1960 წლის მაისის დამლევს. თათბირზე განსაკუთრებით აღინიშნა, რომ ბევრი შეცდომისა და ნაკლის მიზეზია რესპუბლიკის გამომცემლობების მიერ ორგანიზატორული ფუნქციის შეუსრულებლობა, მათი პასიური როლი ლიტერატურის განვითარებაში. მწვავედ, პრინციპული, ამხანაგური კრიტიკა, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება შეიცავდა და რომელიც რესპუბლიკურ თათბირზე გამოითქვა, დაეხმარა საქართველოს გამომცემლობებს გადაესინჯათ თავიანთი მუშაობა პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე ამჟამად მდგომი ძირითადი ამოცანების მიხედვით.

საბჭოთა ადამიანის იდეურ ჩამოყალიბებაში თვალსაჩინო როლს ასრულებენ თეატრები, კინოები, ბიბლიოთეკები, კლუბები, მუზეუმები და კულტურის სხვა დაწესებულებები. პროფესიულ თეატრალურ კოლექტივებთან ერთად რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში სულ უფრო მზარდ ხვედრით წონას იძენს ხალხური შემოქმედება, თვითმოქმედება. ეს მასების კულტურული დონის ამაღლების, მრავალი ათასი საბჭოთა ადამიანის მხატვრული ნიჭის გაფურჩქნის მკაფიო მაჩვენებელია. საქართველოს სსრ რესპუბლიკაში 3 ათასამდე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება უწევს შომსახურებას სოფლის მოსახლეობას. ამ დაწესებულებათა აქტივს შეადგენენ მშრომელები, რომლებიც მონაწილეობენ თვითმოქმედების საკლუბო წრეებსა და ანგიტმხატვრულ ბრიგადებში. სასოფლო კლუბებში ხშირად ეწყობა შეხვედრები საუკეთესო ადამიანებთან, იმართება კონცერტები, სპექტაკლები. თეთრი წყაროს რაიონის კლუბები სისტემატურად აწყობენ „დასვენების დღეებს“, სიღნაღისა და ლაგოდეხის რაიონებში ყოველწლიურად ეწყობა მოსავლის აღების შემდეგ სახალხო სეირნობა, რომელშიც მონაწილეობს მხატვრული თვითმოქმედება. მახარაძისა და ჩოხატაურის რაიონებში კლუბების სცენებსა და ღია ესტრადებზე ყოველდღე გამოდიან თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივები.

თვითმოქმედ კოლექტივთა შორის საუკეთესონი სახალხო თეატრებად გადაიქცნენ. დრამატული სახალხო თეატრები შექმნილია 22 რაიონულ კულტურის სახლთან; ხოლო ქუთაისის კულტურის სახლთან არსებობს საოპერო სახალხო თეატრი, რომელმაც წარმატებით დადგა ოპერები „დაისი“ და „ქეთო და კოტე“. მაყურებელთა დიდი სიყვარულით სარგებლობენ ლანჩხუთის, ამბროლაურის, ბორჯომის, ორჯონიკიძის, ცაგერისა და ცხაკაიას კულტურის სახლების სახალხო თეატრები. 1959-1960 წწ. სეზონში სახალხო თეატრებმა 500 წარმოდგენა გამართეს. სოფლის მოსახლეობის მომსახურებაში დიდი პროფესიული თეატრალური კოლექტივებიც მონაწილეობენ. მაგალითად, თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრი ქობულეთის, მახარაძის, ზუგდიდის, ჭიათურის, ლაგოდეხისა და კასპის რაიონებში იყო, კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა სოფლად გამართა 26 სპექტაკლი, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრმა — 45, გრიბოედოვის სახელობის თეატრმა — 55, სომხური დრამის თეატრმა — 40 სპექტაკლი. ბავშვების წინაშე სისტემატურად გამოდიან ნორჩ მაყურებელთა ქართული და რუსული თეატრები.

მაგრამ, რა თქმა უნდა, კულტურულ-მასობრივი მუშაობა ყველგან როდია დაყენებული ისე კარგად, როგორც ამ რაიონებში. ქედის, ჯავის, საგარეჯოს რაიონების ბევრი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება თითქმის არავითარ მუშაობას არ ეწევა. ზოგიერთ კლუბში ცუდად არის მოწყობილი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. ყოველგვე ეს იმას მოწმობს, რომ ცალკეული ადგილობრივი პარტორგანიზაციები ჯეროვნად არ აფასებენ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას მშრომელთა შორის.

უკვე დიდი ხანია საქართველოში, ისევე როგორც სხვა მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკებში, კინო ხელოვნების ყველაზე მისაწვდომი, ყველაზე მასობრივი სახე გახდა. წლითიწლობით მატულობს ახალი კინოფილმების გამოშვება, იზრდება კინოთეატრების რიცხვი. ამჟამად რესპუბლიკაში 13 ფართოეკრანიანი კინოთეატრია. კინოს ხელოვნება თვითმომქმედების კუთვნილებაც გახდა: რესპუბლიკის ბევრ კლუბთან ნაყოფიერად მუშაობენ კინომოყვარულთა წრეები. ერთმა ასეთმა წრემ, მახარაძის რაიონის სოფელ ლიხაურის კულტურის სახლთან რომ არსებობს, საკუთარი ძალებით შექმნა ორნაწილიანი კინოფილმი „ჩვენი სოფელი“, რომელმაც მაღალი შეფასება მიიღო კინომოყვარულთა საკავშირო დათვალიერებაზე. ამით აღფრთოვანებულმა ლიხაურელებმა გადაიღეს მეორე ფილმი, „შვიდწლედის გარიჟრაჟზე“, და ახლა მუშაობენ მესამე ფილმზე — „შრომისა და სიმღერის ადამიანები“. ამ ფილმების თვით სახელწოდებანი მოწმობენ, რომ მათს შემქმნელებს უწინარეს ყოვლისა ეზიდავს თანამედროვეობის თემები, კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლასთან დაკავშირებული თემები. ამ მხრივ სოფელ ლიხაურის კინომაყურებლებს სერიოზულად ჩამორჩება პროფესიული კინოსტუდია „ქართული ფილმი“, რომლისთვისაც ჩვენი თანამედროვეობა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ გამხდარა მთავარი, განმსაზღვრელი თემა. ამ მიმართულებით ჯერ კიდევ დიდი მუშაობა მართებთ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, მწერლებს, რეჟისორებს, მსახიობებს.

იდეოლოგიური მუშაობის დიდმნიშვნელოვანი კერებია კულტურის უნივერსიტეტები. საქართველოში 30-ზე მეტი ასეთი უნივერსიტეტია. მათში სისტემატურად დადის 5 ათასი მსმენელი, მათ შორის ბევრი მუშა და სოფლის ახალგაზრდობა. კულტურის უნივერსიტეტები წარმატებით მუშაობენ არა მარტო თბილისში, არამედ ბათუმშიც, ქუთაისში, გორსა და ბევრ სხვა ქალაქში, აგრეთვე ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში და მახარაძის რაიონის სოფელ ნატანებში. ამჟამად საქართველოში შექმნილია ერთიანი რესპუბლიკური ცენტრი, რომელიც ხელმძღვანელობს კულტურის უნივერსიტეტებს. ეს არის საზოგადოებრივი საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც მუშაობენ მეცნიერების, კულტურის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის თვალსაჩინო მოღვაწეები.

ბრძოლა ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ყოფაცხოვრების მაღალი კულტურისათვის ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო საქმე გახდა. მოვიყვანოთ, მაგალითად, ასეთი ფაქტი: მახარაძის რაიონის კოლმეურნეებმა თავიანთი ინიციატივით შეიმუშავეს ადგილობრივი სახსრებით კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობის სამწლიანი გეგმა. მახარაძელთა თაოსნობას რესპუბლიკის ყველა რაიონი გამოეხმაურა. უკვე 1958-1959 წლებში რესპუბლიკაში ამ გზით აშენდა 29 კულტურის სახლი, 163 სასოფლო კლუბი და 111 ბიბლიოთეკა.

საქართველოს კომპარტიის იდეოლოგიურ მუშაობაში კულტურული ფრონტისადმი ხელმძღვანელობას განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ბრძოლა კულტურის განვითარებისათვის საბოლოო ანგარიშით არის ბრძოლა ახალი ადამიანის — კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებლის ჩამოყალიბებისათვის.

იდეური ზემოქმედების მრავალი საშუალება, რომლებსაც რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები იყენებენ, მიმართულია იმისაკენ, რომ ადამიანები აღვზარდოთ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით. უკანასკნელ წლებში დაიწყო საქართველოს მშრომელთა შემოქმედებითი ენერგიის ახალი აღმავლობა. უმაგალითოდ ფართო გაქანება მიიღო სოციალისტურმა შეჯიბრებამ. უდიდესი მორალური სტიმული შექმნა მოძრაობამ კომუნისტური შრომის დამკვრელისა და ბრიგადის წოდებისათვის. ხალხის წიაღიდან ათასობით წამოვიდნენ წარმოების მოწინავენი, ნოვატორები, რაციონალიზატორები ტექნიკისა და სოფლის მეურნეობის დარგში. ახლა მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობს წარმოების ისეთ ნოვატორთა სახელებს, როგორიც არიან რუსთავის მეტალურგი ა. ძამაშვილი, ტყიბულელი მეშახტე შ. კუბლაშვილი, გორელი ფეიერვარი ე. გეგელაშვილი, თბილისელი მკერავი პ. ბოგდანოვა, თბილისელი მშენებელი დ. თედეევი, წარჩინებული მეჩაიეები თ. ყუფუნია, დ. ტაკიძე, ნ. გოგატაძე, მწველავები ტ. ფეიდოსე

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

(გაგრძელება)

53. **ლვამიჩავას** ანდრია რომანის-ძეს — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ონკოლოგიის სსმეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორს

54. **ყაუხჩიშვილს** სიმონ გიორგის-ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს

55. **შალამბერიძეს** ხარიტონ ბებუთის-ძეს — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორს

56. **შხვაცაბაიას** გიორგი იაკობის-ძეს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს

57. **ჩაჩავას** მიხეილ კონსტანტინეს-ძეს — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს

58. **ჩიქოვანს** მიხეილ იასონის-ძეს — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს

59. **ჩხენკელს** ივანე ალექსის-ძეს — პროფესორს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგეს

60. **ჩხეტიას** შალვა ყარამანის-ძეს — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგეს

61. **ცინცაძეს** ივსიხი ნიკოლოზის-ძეს — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კათედრის გამგეს

62. **ცინცაძეს** იასე ზაქარიას-ძეს — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს

63. **ცხადაიას** დომენტი გიორგის-ძეს — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს

64. **ძიძიშვილს** ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძეს — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს

65. **წერეთელს** ალექსანდრე იოსების-ძეს — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს

66. **წერეთელს** სავლე ბენედიქტეს-ძეს ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორს

67. **ჭანიშვილს** შალვა თომას-ძეს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანს

68. **ჭეიშვილს** ნიკოლოზ ივლიანეს-ძეს — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგეს

69. **ჭელიძეს** ვლადიმერ გიორგის-ძეს — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს

70. **ხარატიშვილს** გიორგი დავითის-ძეს — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგეს

71. **ხოჭავას** ზოსიმე ილარიონის-ძეს — პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს

72. **ხუნდაძეს** გიორგი რომანის-ძეს — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორს

73. **ხუნდაძეს** ტროფიმე ირაკლის-ძეს — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორს

74. **ჯაშს** ივანე ლეონტის-ძეს — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს

75. **ჯორბენაძეს** არკადი ბესარიონის-ძეს — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კათედრის გამგეს

(დასასრული შემდეგ ნომერში).

რუხის ციხესთან

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ლამაზი, დიდებულია სოხუმის გზატკეცილი. კომფორტული ავტობუსი ამორეკავს ჯერ ... მიდამოებს. ეს ადგილი კი, რომელიც ფოტოკორესპონდენტმა ... ამ გრძელი გზის მშვენებაა.

მდინარე ენგურზე კეთილმოწყობილი ხიდია გადაკიდული. ... ენგურის მარჯვენა მხარეს ზვიადად აზიდულა რუხის ციხე. ურიცხვი მტერი შეესმოდათ ციხის გალავანს. მისი ბებერი კედლები ბევრი სისხლისმღვრელი შერკინების მოწმეა.

დღესაც იგი ამაყად დგას და გადაყურებს მწვანით დაბურულ სოფელ რუხს, სადაც ქართველი გლეხის გამრჯე მარჯვენა დოვლათსა და ბარაქას ქმნის.

ფოტო ბ. სოკოლოვისა.



ბოტვინიკს მხოლოდ ერთი ქულა სჭირდება

მოსკოვი. 4 მაისი. (ტელეფონით). გადადებული მეთვრამეტე პარტიის ანალიზს მეტოქეებმა მთელი ღამე მოანდომეს. როდესაც დილით ბოტვინიკს შევხვდი, იგი დარწმუნებული იყო, რომ თეთრები წინააღმდეგობას არ გაგრძელებდნენ. „ყოველ შემთხვევაში, კაპაბლანკა არასოდეს დაამთავრებდა ასეთ გადადებულ პარტიასო" — დასძინა ბოტვინიკმა.

დილითვე ტალის მწვრთნელმა კომენტატორ ბატალბერგს აცნობა, რომ მსოფლიოს ჩემპიონი თმობს პარტიას. ანგარიში გახდა 11,5 : 6,5 ბოტვინიკის სასარგებლოდ.

ამრიგად, ბოტვინიკს ერთი ქულაღა სჭირდება დარჩენილი ექვსი პარტიიდან, რათა მსოფლიოს ჩემპიონის წოდება დაიბრუნოს.

ხვალ გაიმართება მორიგი, მეცხრამეტე პარტია, თეთრებით ითამაშებს ბოტვინიკი.

ლ. აბრამოვი,
ოსტატი.

სსრ კავშირის ფრენბურთელთა ნაკრები

მოსკოვი. სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდი 3 მაისს მოსკოვიდან სტამბოლს გაფრინდა, იქ 6 მაისს დაიწყება ფრენბურთელთა საერთაშორისო ტურნირი.

სსრ კავშირის გუნდი მნიშვნელოვნად განახლებულია; სამი მოთამაშის გარდა, რომლებიც წინათ ჩვენი ქვეყნის ნაკრებში გამოდიოდნენ, დანარჩენები ახალგაზრდა ფრენბურთელები არიან.

სსრ კავშირის გუნდში შეყვანილია თბილისის „ბურევესტნიკის" მოთამაშე ვ. კაჭარავა.

ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში

ბელგრადი. ნახევარფინალის პირველ მატჩში საბჭოთა კალათბურთელები შეხვდნენ პორტუგალიის გუნდს და გაიმარჯვეს ანგარიშით 67 : 51. იუგოსლავებმა დაამარცხეს ბელგიის გუნდი 85:59.

„ბ" კლასის გუნდების მატჩები

△ **თბილისი.** 2 მაისი. „ბურევესტნიკის" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ მოკავშირე რესპუბლიკების „ბ" კლასის გუნდების — თბილისის „ლოკომოტივი" და რიგის „რეზ-ი". გაიმარჯვეს ლოკომოტიველებმა ანგარიშით 1:0.

△ **ჟუთაისი.** 2 მაისი. ადგილობრივმა ტორპედოელებმა მორიგი ტურის მატჩი გამართეს ჩიმკენტის „ენბეკის" წინააღმდეგ და გაიმარჯვეს 4:2.

△ **სოხუმი.** 2 მაისი. წარმატებით იბრძვის „ბ" კლასის ახალი გუნდი სოხუმის „რიწა". მორიგ შეხვედრაში სოხუმელებმა დაამარცხეს ლიეპაიას „სელმაში" ანგარიშით 2:0.

ქალთა საერთაშორისო საჰადრაკო ტურნირი

გუშინ რესპუბლიკურ ცენტრალურ საჰადრაკო კლუბში მოეწყო ქალთა საერთაშორისო საჰადრაკო ტურნირის გადადებული პარტიების დამთავრება.

ვ. ასენოვამ დაამარცხა მ. ტოგონიძე, ი. ლიბერტმა — ი. შილეი, ე. კაკაბაძემ — ა. ნიკოლაუ, ნ. გაფრინდაშვილმა — ვ. ასენოვა, ა. ჩაიკოვსკაია-კ. ერეტოვას, ვ. ტიხომიროვა-კ. ზეორიკინას, ა. ლიტვინსკა-ი. ლიბერტის, კ. ერეტოვა-ი. შილეისა და ვ. კოზლოვსკაია-მ. ტოგონიძის პარტიები ყაიმით დამთავრდა. 4 პარტია კვლავ გადაიდო.

7 ტურის შემდეგ წინ არიან ა. ჩაიკოვსკაია და ნ. გაფრინდაშვილი, პირველს 4,5 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს, მეორეს — 4 ქულა და 3 გადადებული პარტია.

ამერიკელი კალათბურთელები კიევში

ამერიკის შეერთებული შტატების მოყვარულ კალათბურთელთა კოლექტივები თბილისიდან კიევში გაემგზავრნენ. აქ ისინი პირველ მატჩებში შეხვდებიან სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებებს.

ქალთა გუნდების ასპარეზობაში წარმატება ხვდათ ამერიკელებს 57 : 48. ამერიკელთა გამარჯვებით (110 : 80) დამთავრდა აგრეთვე ვაჟთა გუნდების შეჯიბრება.

სუვანა ფუმას განცხადება

პანოი, 3 მაისი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის დროებით საქმეთა რწმუნებულს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ნ. ი. გოდუნოვსა და ინგლისის კონსულს ჰანოვერში გადაეცათ სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრებისთვის გადასაცემად ლაოსის სამეფო მთავრობის პრემიერ-მინისტრის სუვანა ფუმას განცხადების ტექსტები.

განცხადებაში მოყვანილია ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ლაოსის მთავრობა თანმიმდევრულად ესწრაფვის ლაოსის პრობლემის გადაჭრას, ცეცხლის რაც შეიძლება მალე შეწყვეტას და დაზავებას ლაოსში, აგრეთვე ნაჩვენებია ფუმი ნოსავან-ბუნ უმის ჯგუფის ცდები ჩაფუზოს მოლაპარაკება ინტერესებულ მხარეებს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ კეენტიანმა არ გასცა პასუხი კანონიერი თავრობის მიმართვას, რომ გაგზავნოს თავისი დელეგატები ნა-მონში ან რომელიმე სხვა პუნქტში, რომელიც მდებარეობს ორი მხარის წინა ხაზებს შორის ხინ-ზოპის რაიონში, პრინცმა სუვანა ფუმამ უბრძანა სამეფო მთავრობის ჯარებსა და ნეოლაო ხაკ სატის შეიარაღებულ ძალებს შეწყვიტონ, დაწყებული 1961 წლის 3 მაისიდან, სპომარი მოქმედება, რათა „შეიქმნას ხელსაყრელი პირობები ლაოსის დაინტერესებული მხარეების შეჯვერისათვის და მიღწეულ იქნას ფაქტიურად ცეცხლის შეწყვეტა საერთაშორისო თვთმხილველების გახსნამდე, რომელიც დანიშნულია 12 მაისისათვის".

ამავე დროს, მე მოვითხოვე, ნათქვამია სუვანა ფუმას განცხადებაში, რომ საკანაკეტის ჯგუფის ჯარებმა შეწყვიტონ ცეცხლი, შეაჩერონ მთელი შეტევითი მოქმედება და დაბომბვა, დარჩნენ იმ პოზიციებზე, რომლებიც მათ ეკავათ ზემოხსენებულ დღეს, და თავი შეიკავონ ყოველგვარი მოქმედების განგრძობისაგან.

წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი აიძულებენ სამეფო მთავრობისა და ნეო ლაო ხაკ სატის ჯარებს დაიწყონ საომარი მოქმედება კანონიერი თავდაცვის მიზნით.

პრინცი სუვანა ფუმა აღნიშნავს განცხადებაში, რომ ლაოსის პრობლემა არის უწინარეს ყოვლისა თვით ლაოსელთა პრობლემა და იგი უნდა გადაწყვიტოს თვით ლაოსის ხალხმა და უწინარეს ყოვლისა დაინტერესებულმა მხარეებმა.

ამავე დროს, ხაზგასმით აღნიშნავს სუვანა ფუმა, მე მიმაჩნია, რომ 14 ქვეყნის კოფერენციის მოწვევა ყველაზე ეფექტიანი ღონისძიებაა ლაოსის პრობლემის გადასაჭრელად საერთაშორისო საფუძველზე.

დასასრულ პრინცმა სუვანა ფუმამ მოუწოდა ლაოსის მთელ ხალხსა და ლაოსის ყველა პოლიტიკურ პარტიას მხარი დაუჭირონ ამ პოზიციას, განმტკიცონ სოლიდარობა და თავიანთი მოქმედებათ ხელი შეუწყონ მშვიდობის დამყარებას ლაოსში, თანხმობისა და ეროვნული ერთიანობის მიღწევას.

ტელეგრაფი გვატყობინებს

იური გაგარინი მიწვეულია პარიზში

პარიზი. (საკდესი). პარიზის 24-ე საავიაციო გამოფენის ორგანიზატორებმა მსოფლიოში პირველი კოსმონავტი მაიორი ი. ა. გაგარინი მიიწვიეს ამ გამოფენაზე, რომელიც 27 მაისს გაიხსნება.

პირველი უნივერსიტეტის შექმნა ეთიოპიაში

პარიზი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, იმპერატორის სასაზლე ადიس-აბებაში გადაეცა ეთიოპიის პირველი უნივერსიტეტის შესაქმნელად.

ეხმარებიან კონგოელი ხალხის მოღალატეს

ლონდონი, 4 მაისი. (საკდესი). ინგლისის მთავრობა ცდილობს დაეხმაროს კონგოელი ხალხის მოღალატეს ჩომბეს. ეს გახდა ცნობილი გუშინ თემთა პალატაში კონგოს მდგომარეობის განხილვის დროს.

ბეჯდის მცველმა ლორდმა ჰიტმა განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობას წინადადება შეაქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რომ უზრუნველყოს ჩომბეს გათავისუფლება.

როგორც ცნობილია, კატანგელ სეპარატისტთა მეთაური ჩომბე ამუამად „შინაპატიმრობაში" ჰყავთ მობუტუელ პარაშუტისტებს ქალაქ კოკიავილში.

პროვოკაციები კუბის წინააღმდეგ გრძელდება

ჰავანა, 4 მაისი. (საკდესი). გაზეთ „რევოლუსიონის" კორესპონდენტი იუწყება ქალაქ გუანტანამოდან, რომ უკანასკნელ დღეებში ამერიკელთა იქაურ სამხედრო-საზღვაო ბაზაში გაცხოველებული აქტივობაა. ბაზაში მიდიან ახალი სამხედრო გემები და თვითმფრინავები. ამას წინათ მოვიდა სატრანსპორტო გემი 35 კატარღით საზღვაო დესანტის გადასასხმელად.

1 მაისს ამერიკის ბაზაში მოეწყო სროლა და მანევრები.

მადა ჭამაში მოდის

შტრაუსი: „მაინც მალე მოგწვდებით".

(კიბის საფეხურებზე წარწერებია: „სამხედრო შეკვეთები", „დახმარება დოლარს", „ო�იპროცენტი წილი ნატოს ხარჯებში", „გერმანული მარკის კურსის ამაღლება"). ნახატი გაზეთ „დოიჩე ფოლკსაიტუნგიდან", გფრ.

თანაბრძენობა გაუფია

— ჯონს! მე არ მინდა ვიფიქრო, რომ ჩემი მოსამსახურეები იძულებული არიან საღამოობით ასანთით ვანრობდნენ (ესე იგი მოწყალებას თხოულობდნენ). ნუთუ არ შეიძლება ეს საქმე თქვენმა ცოლმა აკეთოს?

ნახატი ინგლისურ გაზეთ „დეილი მირორიდან".

ამბოხების გაკვეთილები

პარიზი, 2 მაისი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მორის ტორეზი გამოვიდა კომპარტიის ნორის დეპარტამენტის ფედერაციის კონფერენციაზე. მან თავის სიტყვაში დიდი ყურადღება დაუთმო ალჟირის ამბოხებასა და საფრანგეთის ახლანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას.

მორის ტორეზმა მოაგონა დამსწრეთ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გადამწყვეტი როლი ხალხის მასების მობილიზაციაში მეამბოხეებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად და ხაზგასმით აღნიშნა, რომ 1958 წლიდან სათვალავით მესამე ამბოხება ალჟირში შედგება ალჟირის ომისა, რომელიც უკვე შვიდი წელიწადია გრძელდება.

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა თავის გამოსვლაში ცხადყო, რომ კოლონიურ ომს ალჟირში არა მარტო აურაცხელი ტანჯვა მოაქვს ალჟირელი და ფრანგი ხალხებისათვის, არამედ აგრეთვე ფაქტიურად უკვე გამოიწვია დემოკრატიის ლიკვიდაცია საფრანგეთში, პირადი, ხელისუფლების რეჟიმის დამყარება, რომელიც „ფაშიზმის საფრთხეს შეიცავს". „ალჟირის ომი, — განაცხადა მორის ტორეზმა, — კვებავს ფაშიზმს. იგი ეწინააღმდეგება საფრანგეთის ინტერესებს, და ეს ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო ჩვენი ბრძოლისა პირველ დღიდანვე ალჟირელ ხალხთან მოლაპარაკებისათვის, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უფლების აღიარებისათვის".

შემდეგ მორის ტორეზმა აღნიშნა, რომ ალჟირის ამასწინანდელმა ამბებმა „დაადასტურეს, რომ დე გოლის ხელისუფლებას მონოპოლიების ხელისუფლების ხასიათი აქვს, რომ იგი არ არის მტკიცე, რომ იგი სუსტია". აღნიშნა რა, რომ ძლიერი სახელმწიფო შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფო, რომელიც ხალხს ეყრდნობა ხალხისათვის სასურველი პროგრამის განხორციელებაში, საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა თქვა, რომ დე გოლის მთავრობას „ეშინია უწინარეს ყოვლისა ხალხისა, მუშათა კლასისა" და „მხოლოდ შეთქმულთა მმართი იჩენს კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას".

მორის ტორეზის სიტყვებს იმის შესახებ, რომ „სწორედ ხალხმა მოიპოვა გამარჯვება ამბოხების წინააღმდეგ", მეუხარე, ხანგრძლივი ოვაციით შეხვდნენ. „სწორედ ხალხის მობილიზაციას, რასაც აქტიურად უწყობდა ხელს ჩვენი პარტია, რომელმაც მოუწოდა ერთიანობისათვის, ანტიფაშისტური კომიტეტებისა და სახალხო მილიციის შექმნისათვის, — თქვა მან, — მოჰყვა გადატრიალების ჩაფუშვა.

სწორედ მუშათა კლასმა თავისი ძლევამოსილი გაფიცვით, რაც მოეწყო შრომის საყოველთაო კონფედერაციისა და სხვა პროფკავშირულ გაერთიანებათა, აგრეთვე საფრანგეთის სტუდენტთა ეროვნული კავშირის ინიციატივით, გადამწყვეტი ლაბავარი ჩასცა ამბოხებას...

სწორედ ხალხმა და მისმა შვილებმა არმიაში აიძულეს ამბოხების მეთაურები იარაღი დაეყარათ ან გაქცეულიყვნენ".

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა შემდეგ აღნიშნა, რომ უახლოესი ამოცანებია მეამბოხეთა და ყველა მათ თანამზრახველთა მკაცრად დასჯა, ფაშისტური ორგანიზაციების დაშლა, იმ გაზეთების აკრძალვა, რომლებიც მათ ემსახურებიან ფაშისტური ორგანიზაციების ... ბრძოლა კონსტიტუციის მე-16 მუხლის (რომელიც საგანგებო რწმუნებებს ანიჭებს პრეზიდენტს) გამოყენების წინააღმდეგ, დემოკრატიის აღდგენისა და განახლებისათვის საფრანგეთში, მშვიდობისათვის ალჟირში, ალჟირის რესპუბლიკის დროებით მთავრობასთან დაუყოვნებლივი მოლაპარაკებისათვის ალჟირელი ხალხის თვითგამორკვევის უფლების განხორციელების საფუძველზე.

ხაზგასმით აღნიშნა რა, რომ ეს მიზნები შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ მუშათა კლასისა და ხალხის მოქმედების გზით, მორის ტორეზმა განაცხადა, რომ საჭიროა ბრძოლა მუშათა კლასის ერთიანი ფრონტის შექმნისათვის. მან ამხილა მოღალატური როლი საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ლიდერებისა და მოლეს მეთაურობით, რომლებმაც „კვლავ ცხადყვეს, რომ არიან ბურჟუაზიის სოციალური დასაყრდენი".

ჩვენ აღფრთოვანებული ვართ მუშათა კლასისადმი, ფრანგი ხალხისადმი ურყევი რწმენით, — განაცხადა დასასრულ მორის ტორეზმა. — ჩვენ გვწამს ჩვენი დიადი და შესანიშნავი პარტია, რომლის ერთიანობას თვალისჩინებივით ვუფრთხილდებით. ჩვენ მტკიცედ და ურყევად მივდივართ ნათელი მომავლისაკენ, მივდივართ ძნელი ბრძოლებით, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ გარდუვალად დადგება კომუნიზმი, რომელსაც მოაქვს თავისუფლება".

ეუფოთება ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 3 მაისი. (საკდესი): გამწვავებული საომარი ისტერიის დროს გარკვეულ წრეებმა შეერთებულ შტატებში გაიჩაღეს კომპანია ამერიკის შეერთებული შტატების საომარი მზადების გაძლიერებისთვის და, კერძოდ, იმ ქვეგანაყოფთა რიცხვის გადიდებისათვის, რომელთა დანიშნულებაა ძირგამმთხრელი, ტერორისტული და დივერსიული მოქმედება სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე. გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის" კორესპონდენტი დრუმონდი, რომელიც ამ ძირგამომთხრელ ქვეგანაყოფებს უწოდებს „ლოკალური ომების საწარმოებელ" ძალებს, წერს:

„მე დარწმუნებული ვარ, რომ დადგა დრო, როცა ამერიკის მთავრობამ და ამერიკელმა ხალხმა უნდა იმოქმედონ იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ ვიმყოფებით არა მშვიდობის, არამედ ომის მდგომარეობაში, თუმცა განსაკუთრებული და უფრო ძნელი ომისა, ვიდრე ოდესმე გვიწარმოებია".

დრუმონდის განსაკუთრებულ გაკვირვებას იწვევს „სრულიად უმნიშვნელო" გადიდება ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალებისა „ლოკალური ომების წარმოებისათვის" — 5.000 კაცით გადიდება, რასაც პრეზიდენტი კენედი მოითხოვს. „დაე მან (კენედიმ. — რედ.) ჩვენს შეიარაღებულ ძალებს ლოკალური ომების წარმოებისათვის მიუმატოს არა ხუთი ათასი, არამედ, თუ საჭირო იქნება, 500.000 კაცი, რათა წარმატებით აწარმოოს „ომი, რომელსაც მშვიდობას უწოდებენ", — წერს დრუმონდი.

ამგვარ რჩევაში დრუმონდს არ ჩამოუვარდება გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის" არც მეორე კორესპონდენტი სტიუარტ ოლსოპი. იგი მოითხოვს „ახალ თეორიულ" მიდგომას უცხო სახელმწიფოებში „პარტიზანული ომისა" და ძირგამომთხრელი საქმიანობის პრობლემისადმი. თუ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვერ ისწავლეს „პარტიზანული ომის" წარმოება, აცხადებს იგი, საქმე შეიძლება იმით დამთავრდეს, რომ პერიფერიის ყველა ქვეყანას „ხელში ჩაიგდებენ და აღარაფერი დაგვრჩება, გარდა შეუყეული დასავლეთ ევროპისა და ალყამორტყმული ამერიკისა..."

სენატორი ფულბრაიტი გრალს დეგს...

ნიუ-იორკი, 3 მაისი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო საქმეთა კომისიის ორი დღის სხდომის შემდეგ, რომელმაც მოისმინა ამერიკის შეერთებული შტატების მთელ რიგ სახელმწიფო მოღვაწეთა ჩვენებანი შეერთებული შტატების როლის შესახებ კუბაზე მარცხით დამთავრებულ თავდასხმაში, კომისიის თავმჯდომარემ სენატორმა უილიამ ფულბრაიტმა განაცხადა, რომ მთელი ეს ოპერაცია იყო შეცდომა, რისთვისაც პასუხისმგებლობა ეკისრებათ თეთრ სახლს, თავდაცვის სამინისტროს, ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსა და სახელმწიფო დეპარტამენტს.

ფულბრაიტმა ეს განცხადება გაუკეთა პრესის წარმომადგენლებს კომისიის სხდომის შემდეგ, რომელმაც მოისმინა დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს ხელმძღვანელების, მათ შორის ალენ დალესისა და რიჩარდ ბისელის ჩვენებანი.

კითხვაზე, აღიარა თუ არა დალესმა, რომ ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ ჩაიდინა შეცდომა, ფულბრაიტმა კორესპონდენტთა სიცილში უპასუხა: „მან აღიარა, რომ ოპერაციის წარმატება არ ჰქონია".

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის აფხაზეთის ფილიალი (ქალაქი სოხუმი, ნინოშვილის ქუჩა № 5).

აცხადებს კონკურსს შემდეგ საშტატო ერთეულებზე:

1. კლინიკური განყოფილების გამგე, უფროსი მეცნიერი მუშაკი (მედიცინის მეცნ. დოქტორი ან კანდიდატი) — 1 კაცი.
2. უფროსი მეცნიერი მუშაკები. ფიზიოლოგი-კურორტოლოგი — 1 კაცი, თერაპევტი-კურორტოლოგი — 2 კაცი (მედიცინის მეცნ. დოქტორი ან კანდიდატი), ქიმიკოსი — 1 კაცი (ქიმიის მეცნ. დოქტორი ან კანდიდატი).
3. ბიოკლიმატური განყოფილების გამგე 1 კაცი (გეოგრაფიის მეცნ. დოქტორი ან კანდიდატი, რომელსაც უმუშავნია მედიცინის, მეტეოროლოგიისა და კლიმატოლოგიის განხრით).

ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად:

1. სამკურნალო კურორტული ფაქტორების ძიებისა და შესწავლის განყოფილების გამგე (მედიცინის მეცნ. დოქტორი ან კანდიდატი).
2. უფროსი მეცნიერი მუშაკი კლიმატოთერაპევტი (მედიცინის მეცნ. დოქტორი ან კანდიდატი).

კონკურსის ვადაა ერთი თვე.

ბინით ფილიალი არ უზრუნველყოფს.

5 მაისი

თეატრები: რუსთაველის სახელობის — ქართლის ჩრაღდნები, მარჯანიშვილის სახელობის — მე, ბებია, ილია და ილარიონი, გრიბოედოვის სახელობის — აფროდიტეს კუნძული, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — მხოლოდ შენ ერთს... (რკინიგზელთა სახლში), ფილარმონიის საზაფხულო — ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, ცირკი — ქართული ცირკის წარმოდგენები, მიძღვნილი საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისადმი.

ტელევიზია: 18.00 — ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენას ექრანი", 18.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „სტრიქონთა სამყაროში", 18.40 — გადაცემა — „სიმართლე იატაკქვეშეთიდან" (საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავთან დაკავშირებით), 19.00 — ბეჭდვითი სიტყვის დღისადმი მიძღვნილი საღამოს ტრანსლაცია ოფიცერთა სახლიდან. ანტრაქტში ახალი ამბები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს უფროსი მეცნიერი თანამშრომლის (მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი) **ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად** სპეციალობებში: არაორგანული ქიმია (არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია) — 1 ადგილი, არაორგანული ქიმია (კომპლექსნაერთთა ქიმია) — 1 ადგილი.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. განცხადება და ინსტრუქციით გათვალისწინებული საბუთები მიიღება მისამართით: ქ. თბილისი, კამოს ქ. № 14.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა—3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნისა—3-72-80, სამდივნოსი—3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების, მრეწველობისა და ტრანსპორტის—3-57-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის—3-81-84, სოფლის მეურნეობის—3-82-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების—3-80-84, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების—3-73-24, ხალხუსტრაციო—3-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.

ᲡᲥ 03921

2